# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— კვირა, 30 აპრილი 1900 წ. № 1110

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.



საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

წარსული წლების ჟურნალი

„მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. რონინაშვილის მიერ ნაანდერძევი

ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

(ნ. 0—45)


## ახალი ამბავი

✦ **ბანკის წევრთა კრების** გუშინდელს სხდომაზე ლაპარაკი ისევ ბანკის სააგენტოს შესახებ იყო. ლაპარაკი გამოიწვია ოქმის დამტკიცებამ და გასტანა 3 საათამდის. საღამოს მოხდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარეელ საზოგადოების წევრთა კრება. ბანკის წევრთა კრების სხდომა კი დაინიშნა სადღეისოთ, საღამოს 8 საათისთვის.

✦ დღეს გორში დანიშნულია **გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატის** წევრთა საზოგადო კრება.

✦ სასულიერო უწყებას განუზრახავს **გურია-სამეგრელოს ეპარქიაში** შემდეგი **ცვლილება** მოახდინოს: აწ არსებულ ერთ ეპარქიისაგან ორი ეპარქია უნდა შექმნან. გურია და აჭარა ცალკე ეპარქია იქმნება და ამ ეპარქიის საეპისკოპოსო კათედრა ქ. ბათუმში დაარსდება. ხოლო სამეგრელოის ეპარქიის ნაწილები იქმნება ზუგდიდისა და სენაკის მაზრები, რომელთაც მიემატება აგრეთვე სამურზაყანოც. კათედრა, შეიძლება, ფოთიდან ახალ-სენაკში გადმოიტანონ.

✦ შემოდგომაზე უმაღლესს წრეებში, პეტერბურგში, განხილულ იქნება კითხვა **კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების** შესახებ.

✦ ქუთაისიდან გვწერენ: ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზე დაარსებულ ქალთა **საეპარქიო სასწავლებელში** მეექვსე კლასი წელს გაიხსნა და მოწაფენი ამ სასწავლებლისა პირველად წელს ათავებენ სწავლას. სულ 20 ქალმა უნდა დაამთავროს სწავლა. ამ ოთხის წლის წინად, როგორც ვიცით, სახალხო განათლების მინისტრმა ნება დართო საეპარქიო სასწავლებლებში კურს დასრულებულ ქალებს ქალების გიმნაზიების პირდაპირ მერვე კლასში შესვლისა უეგზამენოდ. მაგრამ ამ ჟამად ეს განკარგულება ისევ გაუქმებულ **იქმნა.** სამაგიეროდ, საეპარქიო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ ნება ეძლევათ გიმნაზიელებთან ერთად პირდაპირ შევიდნენ ქალების უმაღლეს კურსებზე, თუ ლათინურ ენასაც ისწავლიან და დადგენილის პროგრამით ეგზამენს ჩააბარებენ. როგორც გავიგეთ, ქუთაისის საეპარქიო სასწავლებლიდან 2—3 ქალი აპირებს თურმე მაღალ კურსებზე შესვლას.

✦ **კავკასიის ექიმთა საზოგადო** კრება, რომელიც წელს გაზაფხულს უნდა მომხდარიყო, გადიდვა მერმისისათვის.

✦ ტფილისის ქალაქის თავმა წარუდგინა გუბერნატორს სადაც ჯერ არს გასაგზავნათ ქალაქის **საჩივარი** უმართებულეს სენატში იმის შესახებ, რომ ტფ. გუბერნიის ქალაქების საქმეთა მმართველობამ არ დაამტკიცა გამგეობის წევრად ნამყოფი ხმოსანი ივანენკო ქალაქის საფინანსო კომისიის წევრად.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გარდაუწყვეტია დაბეჭდოს კომისიისაგან შემუშავებული პროექტი ამ საზოგადოებასთან ბიუროს დაარსების შესახებ სასოფლო-სამეურნეო სასტატისტიკო ცნობების შესაკრებ-შესამუშავებლად და შემდეგ გაუგზავნოს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს. ამასთანავე საზოგადოების საბჭოს, მიუღია რა მხედველობაში ბიუროს მოსაწყობად გადადებული საშუალება, განუზრახავს ბიუროს დაარსება ჯერ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სასტატისტიკო ცნობების შესაკრებ-შესამუშავებლად და შემდეგ, თუ ეინიცობაა განზრახული ბიურო მთელი ამიერ-კავკასიის მოხსენებულ სასტატისტიკო ცნობების მოკრებას ვერ გასწვდა, დაკმაყოფილდეს ამ თავით მხოლოდ ორ ან სამ ამიერ-კავკასიის გუბერნიაში მოქმედებით. („ივ“).

✦ დღეს, 30 აპრილს, ივერიის მღვთისმშობლის ეკკლესიაში, ნაძალადევში მოხდება არჩევნები მნათესი.

✦ ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ **საერთაშორისო ნავთის საზოგადოების** დირექტორს ბ. პარუნზევგოვს თავისავე თხოვნით სამსახურისათვის თავი დაუნებებია. მაგიერის არჩევნები, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან, 30 აპრილს, ი. ე. დღეს, მოხდება. კანდიდატებად ასახელებენ რამდენიმე პირს, მათშორის ბ-ნს ალ. ნანეიშვილს.

✦ უმართ. სენატს განუმარტავს, რომ **ასოთ-ამწყობთ ებრაელთაგან** შეუძლიათ იცხოვრონ იმ ადგილებშიაც, სადაც ებრაელთ კანონით აკრძალული აქვთ ცხოვრება.

✦ ყარსიდან დეპეშით ატყობინებენ „ივერიას“, რომ იქ ტფილისის სამოსამართლო პალატას გაურჩევია ცნობილი საქმე თავბეჟან ივანეს ძე ხერხეულიძისა, რომელსაც სამსახურში დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებოდა. პალატას ხერხეულიძე გაუმართლებია.

✦ გეოლოგიურ საზოგადოების თავმჯდომარე მუშკეტოვი მოვიდა პეტერბურგიდან ახალქალაქის მაზრის დასათვალიერებლად და გამოსაკვლევად ადგილმდებარეობისა, განსაკუთრებით იმ ადგილებისა, სადაც მიწის ძვრა იყო.

✦ ძლივს ეღირსა და ქალაქის გამგეობამ დაადგინა საქალაქო არჩევანთა სიების შესადგენად გადაიდვას 3500 მან. არჩევნები იქმ-

ნება 1901 წ.; გამგეობაში აღძრული იყო კითხვა იმის შესახებ,— ერთი კრება იყოს, როგორც წარსულ სხდომაზე, თუ ყოველ პოლიციის ნაწილში. რადგან ხმები ამის შესახებ გაიყო, ამ საქმის განხილვა და დამტკიცება გადაიდვა.

✦ ალექსანდროდორფის კოლონისტებმა (დიდუბის იქით მცხოვრებლებმა) თხოვნა მისცეს ქალაქის გამგეობას, რომ ჩვენ ქვასა და ქვიშას მოგიტანთ, დანარჩენი ქალაქმა დახარჯოს გზატკეცილი გააკეთეთო. ქალაქის გამგეობა დათანხმდა ამ წინადადებაზე და დაადგინა 1944 მან. გადაიდოს ამ გზის გასაკეთებლად.

✦ სავადმყოფოში მიიტანეს გვამი ექიმი მ—ს მეუღლისა, რომელსაც ტყვია ჰქონია მოხვედრილი გულში.

✦ გუშინ-წინ ათი წლის მოსწავლე ქალი ვერის ხიდიდან უყურებდა წყალს, თავ-ბრუ დაესხა, როგორც ეტყობა. ჩავარდნილა წყალში და დამხრჩვალა.

✦ სოხუმიდან გვწერენ: „მარცვა-გლეჯას აქ ბოლო არ ეღება. საგიორგობოდ შუა ბაზარში კიდევ ერთის რაჭველის დუქანი გამარცვეს ქურდებმა“.

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრება

28 აპრილს დილის სხდომა კრებამ მოანდომა ისევ ბაქოს სააგენტოს შესახებ კამათს. კითხვა აღძრა **გ. ბ. საყვარელიძემ**, რომელმაც ის აზრი წარმოთქვა, რომ ბოროტ-მოქმედებისა და ფულების გაფლანგვის ასაცდენად მომავალში, საჭიროა შევამციროთ აგენტის უფლებებიო; საჭიროა ისეთ პირობებში ჩავაყენოთ ის, რომ არ ჰქონდეს შეძლება გაფლანგოს და მიითვისოს ფულებიო და ამიტომ უნდა გაუქმდეს ძველი ინსტრუქცია და შესდგეს ახალი. ამაზე თავ. **ი. გ. ჭავჭავაძემ** უპასუხა, რომ ბაქოს ახლანდელს აგენტს აღარ აქვს ის უფლებები, რომელიც ჰქონდა ბ-ნ ყიფიანსა. ეხლა ბანკს შეთანხმება აქვს ბაქოში არსებულ სამხრეთ-რუსეთის ბანკთან და ამის შუამდგომლობით სწარმოებს ფულის გაცემ-მიღება მსესხებელთანო. ინსტრუქცია, მართალია, საჭიროა ახალი, მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მეტისმეტი ფორმალიზმი არ შევიტანოთ შიგ, რადგანაც ეს შეავიწროებს და დაგვიფრთხობს მსესხებელთ; ხოლო მეორეს მხრით იმასაც უნდა ვეცადოთ, რომ ინსტრუქციამ მაინცა-და-მაინც დიდი უფლებანი არ მიანიჭოს აგენტს და არ ჩაადენინოს მას ბოროტებანი.

**ხ. გ. ხაჩატუროვი.** ბაქო დღითი დღე იზრდება და კრედიტის საჭიროებაც იქ დღითი დღე მატულობს. ჩვენის ბანკისთვის აუცილებლად საჭიროა გააფართოვოს იქ მოქმედება: ეს გაუორკეცებს მას მოგებას. ხოლო ოპერაციების გაძლიერებისთვის სააგენტო საკმარისი არ არის, საჭიროა დაარსდეს იქ განყოფილება. იქ იქმნებიან: განყოფილების გამგე-დირექტორი, ბუჰგალტერი, დამფასებელი და კასსირი. კოლლეგიური დაწესებულება იმით არის კიდევ კარგი, რომ მას თითქმის აღარც შეუძლია ბოროტების ჩადენა, როგორც ერთ აგენტს მოეხერხება.

**თავ. გ. ს. მიქელაძე.** აუცილებლად საჭიროა ბაქოში მკვიდრ ნიადაგზე დავამყაროთ საქმე. იქ ჩვენს ბანკს დიდს მეტოქეობას უწევენ ბევრი საკრედიტო დაწესებულებანი, რომელთა შ ირის ჩვენთვის უფრო საშიშოა ახლად დაარსებული ქალაქის საკრედიტო საზოგადოება. ამგვარ საკრედიტო საზოგადოებათ ისედაც აქვთ უპირატესობა საადგილ-მამულო ბანკებთან შედარებით; ხოლო ბაქოს საზოგადოებას აარსებენ მილიონერები, რომელთ განზრახვა აქვთ ერთბაშად, თავიდანვე მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ საქმე. ამიტომ ჩვენ ბრძოლა გვმართებს, თუ არ გვინდა, რომ სრულიად გამოგვაძეონ ბაქოდან. ბრძოლისთვის-კი საჭიროა განყოფილების გახსნა. ხარჯს არ უნდა შევუშინდეთ, რადგანაც მსწრაფლ დავფარავთ მას გაძლიერებულ მოგებიდან. როგორც-კი გავხსენით იქ სააგენტო, მაშინვე იმატა ოპერაციებმა: ექვს თვეში ერთ ნახევარ მილიონამდე სესხი გასცა ჩვენმა ბანკმა. ეჭვს გარეშეა, რომ განყოფილება უფრო მეტს ხეირს მოგვცემს, ვიდრე ერთის აგენტის ყოლა ბაქოში. განყოფილება მარტო ბაქოს-კი არ მოგვცემს, არამედ ის შეიქნება ცენტრად ახალის ასპარეზისა ჩვენის ბანკის მოქმედებისათვის, რადგანაც ბაქოდან შეიძლება სესხი გაიცეს მთელს ბაქოს გუბერნიაში, დაღესტნის ოლქში, კასპის იქეთა მხარეს და სხვაგან. ყველა ბანკები აფართოვებენ თავის მოღვაწეობას, რისთვისაც არა ნაკლებ 12 აგენტისა ჰყავთ, ჩვენ-კი ძველებურად ხელ-ვაუნძრეველნი ვზივართ. ამ მოსაზრებათა ძალით, მე მგონი, საჭიროა საზოგადო კრებამ გადასწყვიტოს განყოფილების გახსნა ბაქოში და დაავალოს გამგეობას წარმოადგინოს მომავალ კრებისათვის მოხსენება ბანკის ოპერაციების გაძლიერების შესახებ.

**თავ. ი. გ. ჭავჭავაძე.** არცერთს საადგილ-მამულო ბანკს არა აქვს განყოფილება. ეს შეუძლებელიც არის. წესდება ჩვენ ნებას გვაძლევს მხოლოდ სააგენტოების დაარსებისას. თუ მოკლე ვადიან სესხის ბანკებს აქვთ განყოფილებანი, ეს იმიტომ რომ მათში არსებობს საბჭო, რომელიც კანონმდებელია, გამგეობა კი იქ უბრალო აღმასრულებელია საბჭოს დადგენილებათა. ჩვენ კი, თუ გვსურს ისეთი განყოფილება დავიარსოთ, რომელსაც შეეძლება თავისუფალი მოქმედება, დაგვჭირდება, ახალის ბანკის დაარსება ბაქოში, რის ნებას არავინ მოგვცემს. რაც შეეხება ოპერაციების გაძლიერებას, ამას ჩვენ კარგა ხანია ვცდილობთ. ჩვენ ორჯერ ვითხოვეთ ნება ყარსისა და დაღესტანის ოლქებში მოგვცენ ნება სესხის გაცემისა, მაგრამ ორჯერვე უარი გვითხრეს. ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ უფრო მოხერხებულ დროს ადვილად მივიღებთ ამ ნებართვას. აგენტების დანიშვნა საჭიროა, მაგრამ არც ისე უხვად, როგორც თავ. მიქელაძე გვირჩევს: 12 და 15 აგენტი კი არა, ერთიც და ორიც ძლივს გვიპოვნია კეთილ-საიმედო კაცი. ამგვარ საქმეში სიფრთხილეა საჭირო.

შემდეგ თავ. ი. გ. ჰავჰავაძე კითხულობს საბუთს, რომლიდანაც სჩანს, რომ კავკასიის მთავარმართებელს ვერ დაუნახავს შესაძლებლად ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ოპერაციების გაფართოვება ყარსისა და დაღესტნის ოლქებში, რადგანაც ბანკს მცირე ძირითადი თანხა აქვსო. ამ აზრს ფინანსთა მინისტრიც დასთანხმებია.

**თავ. გ. ს. მიქელაძე.** მე ვაცხადებ, რომ გამგეობას ცუდად უნებებია, რომ სამინისტროსთვის პასუხი არ გაუცია. ზოგიერთ ბანკებს სრულიადაც არა აქვთ ძირითადი თანხა და ეს არ უშლის მათ მოქმედებას.

დასასრულ კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა: 1) ბაქოში დარჩეს იმგვარივე სააგენტო, როგორიც ამ ჟამად არის; 2) ბანკის ოპერაციების გაფართოვების შესახებ გამგეობამ აღძრას შუამდგომლობა უფრო მოხერხებულს დროს; 3) ინსტრუქციის შედგენა დაევალოს შეერთებულ სხდომას გამგეობისას და ზედამხედველ კომიტეტისას.

იმავე დღის სალამოს სხდომაზე, წინანდელ სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ, კრება შეუდგა ბანკის ანგარიშის განხილვის გაგრძელებას.

**თავ. გ. ს. მიქელაძე.** როგორც წინადაც განვაცხადე, ბანკის გამგეობას არ უზრუნვია იმის შესახებ, რომ უფრო მეტ შემოსავლიან, მეტ სარგებლიან ქაღალდებად აქციოს სათადარიგო თანხა, ვიდრე ეხლა აქვს. უწინ სავალდებულო იყო, რომ სათადარიგო თანხა ბანკებს უთუოდ სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებად ექციათ, მაგრამ ეს ორი წელიწადია მთავრობამ ნება დართო, რომ კერძო სარგებლიან ქაღალდებითაც შეიძლებაო სათადარიგო თანხის შენახვა: ამგვარი ნება-რთვა უკვე მიიღეს საერთაშორისო და აზოვ-დონის ბანკებმა და სხვა ბანკებიც თხოულობენ ეხლა. კერძო ბანკების °/°-ანი ქაღალდები უფრო მეტ შემოსავალს იძლევიან ვიდრე სახელმწიფოს ქაღალდები, ამიტომ საჭიროა ჩვენმა ბანკმაც მოითხოვოს ხსენებული ნება.

**თავ. ი. გ. ჭავჭავაძე.** ამ საკითხს ანგარიშთან კავშირი არა აქვს; ეს სრულიად ახალი საგანია, და, თუ კრებას ჰსურს, მის შესახებ ჩვენს მოსაზრებას მომავალ კრებას წარმოვუდგენთ.

კრების უმრავლესობამ გადასწყვიტა მიენდოს გამგეობას აღძრულ საგნის შესახებ მოხსენებისა და პროექტის შედგენა და მომავალ მორიგ კრებისთვის წადგენა.

**თავ. გ. ს. მიქელაძე.** ბანკის გამგეობას სხვა თავისი თანხები უმთავრესად უქცევია სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის 3½%-ან ქაღალდებად. სულ შეძენილია 1-თ მილიონ 200 ათას მანეთზე მეტი ეს სარგებლიანი ქაღალდები. მე მსურს გავიგო—რათ მიუცია გამგეობას ეს უპირატესობა ამ ქაღალდებისთვის და არ შეუძენია სხვა უფრო სარგებლიანი სახელმწიფო ქაღალდები, როგორც, მაგალითად, ოქროს 4%-ანი რენტა ან სხვა?

**თავ. ი. გ. ჭავჭავაძე.** ამ კითხვაზე პასუხის გებისათვის მე მინდა ციფრები და ცნობები; მათ შეკრებისთვის ნახევარი საათი დამჭირდება.

კრების თავმჯდომარემ, ამის გამო, განხილვა ანგარიშისა გადასდვა მეორე დღისთვის; კრებას კი მოხსენდა საქმე დამფასებელთა რიცხვის მომატების შესახებ. ეს კითხვა აღძრა ბანკის რწმუნებულთა კრებამ შარშან. გამგეობის აზრით, დაფასების დაგვიანების მიზეზი ის კი არ არის, რომ დამფასებელთა რიცხვი ნაკლებია, არამედ ის, რომ თითქმის შეუძლებელია განწეს-რიგება დამფასებელ კომისიის მოღვაწეობისა: ხშირად რომელიმე შორეულ ქალაქიდან მოვა ერთი თხოვნა სესხის შესახებ; ამ ერთ

თხოვნისთვის დამფასებლის გაგზავნა არ ღირს ხარჯი დიდია და სარგებლობა ცოტა; ამიტომ ბანკი იძულებულია დაუცადოს სხვა თხოვნებს და მერე ერთად დააფასოს ყველა. ამის გამო დაფასება გვიანდება. ამ საქმეს ვერ გავასწორებთ, თუმც რამდენიმე დამფასებელი მოვიშველიოთ კიდევ. გამგეობის აზრით, უკეთესია შეიცვალოს ცოტათი დაფასების წესრიგი. სახელდობრ, სხვა-და-სხვა ქალაქებში დაინიშნოს ბანკის აგენტები, რომელთაც დაევალება დაფასების აღწერილობის მოხდენა. მათ დაფასებას დამფასებელი კომისია შეამოწმებს, თუ საჭიროება მოითხოვს, ადგილობრივ. ასეთი ორგანიზაცია შემოღებული აქვთ სხვა ბანკებსაც და სასარგებლო გამოდგა. აგენტებს ჯილდო დაენიშნება არა უმეტეს 1/4 იმ პრემიისა, რომელიც ერგება ბანკს აგენტის მიერ ნაშოვნ სესხისა და მოხდენილ დაფასებისაგან.

ამ მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზოგი (ნ. ა. ხუდადოვი, თავ. დ. ა. გურამიშვილი. ა. ი. კობაიშვილი) იმ აზრისა იყო, რომ აგენტები თუმცა საჭირონი არიან მაგრამ მათთვის მამულების, დაფასების დაკისრება შეუძლებელია ეს, წესდების ძალით მხოლოდ კომისიის საქმეაო. ბოლოს კრებამ დაამტკიცა გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება.

ამის შემდეგ ა. ი. კობაიშვილმა აღძრა კითხვა ბათუმში ისეთივე საააგენტოს დაარსების შესახებ, როგორიც ბაქოშია. ამაზე თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ უპასუხა, რომ გამგეობა უკვე შეუდგა ამ საქმის განხორციელებას.

კრებამ დაადგინა—მიენდოს გამგეობას, როგორც ბათუმში, ისე სხვა ქალაქებში სააგენტოების დაარსებისთვის ზრუნვა, როდესაც საჭიროება მოითხოვს.

სხდომა გადვიდა მეორე დღის 11 საათისთვის.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**28 აპრილი**

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა: „დღეს მარჯვე დღე გაგვითენდა. მტერი რამდენჯერმე განვდევნე სხვა-და-სხვა პოზიციებიდან. ბრიტანელთ ჯარები იმყოფებიან ეხლა რვა მილის მანძილზე ზანდიდან ჩრდილოეთით; კავალერია და ამხედრებული ქვეითა ჯარი იმყოფება ვენტერსბურგში, ტეკკერის დივიზია—დელფონტენთან. გამილტონის ჯარები და ბროდეუდის ცხენოსანი რაზმი მიუახლოვდნენ კრეიცევგენს. ვენტერსბურგთან გამილტონს მტერი მძლავრად შეებრძოლა; გამილტონის ჯარს დახმარებას უწევდა სმიტდორრიენსის ბრიგადა. ჩვენს ჯარებს ცოტა ჰყავთ მოკლულ დაჭრილი“.

**ბრემენი.** სადგურ ნიმმერზატის (აღმოსავლეთ პრუსსიაშია) გემმა გადაარჩინა 27 აპრილს რუსი კაპიტანი და ექვსი კაცი, მათ შორის ბავშვიც, რომელთაც გადაუბრუნდათ გემი „სოფიო“.

**მადრიდი.** მაღაზიები, თეატრები და ყავახანები დაკეტილია. პროვინციაშიაც ყოველგან დაიკეტა დუქნები. ვალენსიაში ბარრიკადები უკვე დაანგრიეს და მშვიდობიანობა აღდგენილია.

**რიტსპრუიტი.** ზანდთან ბურები წინ დახვდნენ ინგლისის ჯარებს და შეაჩერეს ისინი. ინგლისის ჯარებს სარდლობდნენ გამილტონი და გუტტონი. ბრძოლა დასრულდა ბურების უკან დაწევით. ინგლისელებმა ტყვედ წაიყვანეს 20 ბური. ინგლისელები ისევ წავიდნენ წინ.

**ტაბანჩუ.** ბურებმა დაიწყეს სამხრეთისაკენ და დაიჭირეს პოზიცია, რომლის სივრცე 20 მილს უდრის. ბრაბანტის კავალერიას შეტაკება მოუხდა მტრის სადარაჯო რაზმთან. აქ ელიან ბრძოლას.

**სევილია.** აქ უწესოება მოხდა. ხალხი განფანტეს ჟანდარმებმა. ჯარებმა მოსპეს არეულობა.

**ბარცელონა.** არეულობა ისევ დაიწყო. ხალხმა ჟანდარმებს სროლა დაუწყო. ჟანდარმებმა პასუხი გასცეს. ბევრი დაატუსაღეს; წესიერება აღდგენილ იქმნა.

**სოფია.** კობეკო კონსტანტინეპოლს მიდის. მთავარმა უბოძა მას ალექსანდრეს ორდენი.

**29 აპრილი**

**პეტერბურგი·** 28 აპრილს დასრულდა სკოპცების საქმე. 8 მათგანი გაამართლეს, 34 მიუსაჯეს აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება.

**მოსკოვი.** გენ.-გუბერნატორი აცხადებს: „ხელმწიფემ უბოძა თავის საშუალებიდან 10.000 მან. მოსკოვის ღარიბეს მცხოვრებთ.“

**ნიუ-იორკი.** მანილაში აღმოჩენილ იქმნა შეთქმულობა; ასამდე კაცია დატუსაღებული; 3000 ფილიპინელებმა აიღეს ბულანი და გასწყვიტეს ამერიკელთა რაზმი.

**რომი.** მეფემ უბოძა იაპონიის ტახტის მემკვიდრეს წმ. ხარების ორდენი.

**ვენა.** იმპერატორი ბუდაპეშტში წავიდა.

**სოფია.** უარჰყოფენ ცნობას, ვითომც რამდენიმე ბოლგარელი ოჯახი სერბიაში გაქცეულიყოს. ტყუილია ხმა, ვითომც ბულგარიაში ამბოხება მზადდებოდეს. მთელს ბულგარიაში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს.

**მადრიდი.** ბარცელონაში, ვალენციაში და სევილიაში არეულობა არ მოსპობილა. ვალენციაში და ბარცელონაში გამოცხადდა სამხედრო მართვა-გამგეობის დაწესება.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა: „მდინარეზე გადასვლა გაძნელდა. ბევრი ფურგონი უკან ჩამოგვრჩა. მივდივართ წინ კრონშტადტისაკენ.“

**მასსერუ.** ორანჟეს ბურები იჭერენ ძლიერ პოზიციებს კორანნის მთებზე, ტაბანჩუს და რენდლის ბანაკის აღმოსავლეთით, მდინარე ლეუკთან, ტაბანჩუსა და ლედბრანდის შუა.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ რადგანაც ჩინელი გლეხები თავს დაეცნენ ბრიტანელთა კომისიას, რომელიც საზღვრავს ვეი-ხაი-ვეის ოლქს, ჩინელებმა სურვილი გამოაცხადეს გამიჯვნის გადადებისა. ბრიტანიის კომისიის ხელმძღვანელს ებრძანა განაგრძოს მუშაობა მიუხედავად იმისა მიიღებენ თუ არა გამიჯვნაში მონაწილეობას ჩინეთის კომისარები. ბრიტანელთა კომისარი იუწყება, რომ ყოველივე მშვიდობიანად არისო. მისაშველებლად ზომებია მიღებული.

**კონსტანტინოპოლი.** ჩერნოგორიამ მოსთხოვა ოსმალეთს ნება-რთვა იპეკში საელჩოს დაარსების შესახებ. ოსმალეთმა უარჰყო თხოვნა; უარის მიზეზად დაასახელა იქაურ მცხოვრებთა დაუდგრომელი ხასიათი. სამაგიეროდ ოსმალეთმა თანხმობა გამოაცხადა პრიზრენში იქმნას დანიშნული ელჩიო. ამ ჟამად ელჩის ამორჩევაზეა ლაპარაკი. დანარჩენი ხმები ტყუილია.

**პრეტორია.** მთავრობა აცხადებს, რომ სახელმწიფო მადნების შემუშავების უფლება, რანდის მხარეში, გაიცემა იჯარით საჯარო ვაჭრობით.

**პეტერბურგი.** 28 აპრილს დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრესძე წავიდა ჯარების დასათვალიერებლად რეველის, ნარვასა და ინბურგში. მას თან გაჰყვა დიდი მთავარი კირილე ვლადიმერის ძე.

**პეტერბურგის ბირჟა 21 აპრილს.**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | ნაყიდისა |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | — „ | — „ | 99¹/₈ |
| 4°/₀ შინაგანი სესხი 2, 3. 4 გამოც. 1891 წ. | — „ | — „ | — „ |
| 4¹/₂°/₀ შინაგაინი სესხი 1893 წ. | — „ | 100³/₄ | — „ |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 98¹/₂ | — „ | — „ |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — „ | — „ | 304¹/₂ |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — „ | — „ | 262³/₄ |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 211¹/₂ |
| 3¹/₂°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | 91 „ | — „ | — „ |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — „ | 98 „ | — „ |
| 4¹/₂°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — „ | — „ | 88³/₄ |
| ქუთ. საადგ. - მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — „ | 102 „ | — „ |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — „ | 99 „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — „ | 98 „ | — „ |
| 4¹/₂°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — „ | 90 „ | — „ |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**


# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორცეთი . | 1 » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ზის ჟვერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფქვილისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » » | » 3¹/₂ | » |
| » » | III | » » | » 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » » | » 5 | » |
| » » | II | » » | » 4 | » |
| » » | III | » » | » 3¹/₂ | » |
| ლავაში ჭკ. მამ. | I | » » | » 6 | » |
| » » | II | » » | » 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოჯზადეზე, ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | —85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | —— |
| ხახვი . . . . | 1 | — | 50 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | —— |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი“ „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რვე 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა, ჩაა და წამლობაც უფასოა. სამკურნლოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჭუღიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი ეიდიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარხაძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღლიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

# განცხადებანი

აპრილის 20-ს ამა წლისას, სოლოლაკისა და რტიშჩევის ქუჩების კუთხეში, თავად ბებუთოვების სახლში გაიხსნა

## ქალაქის სააუქციონო დარბაზი.

სააუქციონო დარბაზი მოახდენს საჯარო გასყიდვას ყოველგვარ მომრავ ქონებისას სახელმწიფო დაწესებულებათა, მოხელეთა, საკრედიტო დაწესებულებათა, გამსესხებელ კასსებისა და კერძო პირთა განცხადებისა თანახმად.

საჯარო გასყიდვა მოხდება სააუქციონო დარბაზში, მაგრამ შეიძლება ქონების პატრონის სახლშიაც მოხდეს იგი ან და მაღაზიებში და დუქნებში, მსურველთა თხოვნის თანახმად.

დაწვრილებითი პირობები ქონების მოტანისა, შენახვისა და გასყიდვის შესახებ დაბეჭდილია «ტფილისის სააუქციონო დარბაზის წესდებაში», რომლის მიღება მსურველს შეუძლიან თვით დარბაზის სადგომში ზემო მოყვანილ ადრესით. ნ. 5—2

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . . | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . . | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი . . . . . . . | «—70 |
| იგივე II ტომი . . . . . . | «—60 |
| იგივე III ტომი . . . . . . | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) . . . . | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . . | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი . . . . . | «—60 |
| იგივე II ტომი . . . . . | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი . . . | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუისა საბა-ორბელიანისა . . . . | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი . . | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა . . . . . . | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით . . | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა . | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა . . | 1—50 |
| რძე მისივე . . . . . . . . . | 1—50 |
| სიბრძე პალავარისა . . . . . . . . | «—30 |
| ცეცხლით და მახვილით . . . . . . | «—80 |
| დასტურ-ლამა . . . . . . . . . | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება . . . . . . . . | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი. . . . . | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . . | 30 „ |
| იგდით, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. ბუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Апрѣля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.